ხელშეკრულება

ქ. თბილისი ___. ___. 20__

_____, შემდგომში " დამკვეთი" , ერთი მხრივ და შპს " ვუდპოინტი" მეორე მხრივ, შემდგომში " შემსრულებელი" აწერენ ხელს წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1. 1 შემსრულებელი დამკვეთის დავალებით იღებს ვალდებულებას თავისი მასალებით, თავისი საშუალებებითა და ძალებით, წინასწარ შეთანხმებული ნახაზის შესაბამისად შეასრულოს ავეჯის საწარმო და სამონტაჟო სამუშაოები, რომლის ფასი, რაოდენობა და ასორტიმენტი განსაზღვრულია მხარეების მიერ №1 დანართში, " სპეციფიკაციები" . დამკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და აანაზღაუროს სამუშაოების ღირებულება.

1. 2 ნაკეთობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ჰიგიენის მოთხოვნებს

1. 3 მოთხოვნილებები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დამზადებული ნაკეთობა, კერძოდ: გამოყენებული მასალის დასახელება, ნაკეთობის ზომები, მისი ვიზუალური მხარე და სხვ. , უნდა იქნეს მითითებული №2 დანართში " პროექტი" , რომელიც წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შემდეგი თანმიმდევრობით:

-თითოეული სპეციფიკაცია თანხმდება დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

-ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მოცემული ხელშეკრულების 3. 2. 3 პუნქტის შესაბამისად, შემსურელებელი ახორციელებს აზომვას. თუ აზომვის შედეგად შესრულებელი მიიღებს ცვლილებების(დამატებების) შეტანის გადაწყვეტილებას, დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს დამკვეთს. ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ ცვლილების განხორციელება.

2 ფასი, გადახდის თანმიმდევრობა და სამუშაოს შესრულების ვადები.

2. 1 სამუშაოს შესრულების სრული ღირებულება №1 დანართის მიხედვით არის:

_____ლარი _____თეთრი

(_____)

დღგ-ს ჩათვლით.

2. 2 ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულება შეიცავს მასალების, შეფუთვის, მონტაჟის, მიტანის, გადასახადების და შესრულებლის სხვა ხარჯებს, რომლის გაწევაც

მოუხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად.

2. 3 გადახდის პირობები ხელშეკრულების შესაბამისად:

- წინასწარი შენატანი (ავანსი) ღირებულების 70%ის ოდენობით მოცემული ხელშეკრულების შედგენის დღეს.

- 30%ერთი დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან

2. 4 ანგარიშსწორება ხდება ლარებში. დამზადების ვადა 15 (თხუთმეტი) დღე ნახაზის შეთანხმების დღიდან და ავანსის გადახდის შემთხვევაში.

3 მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3. 1 დამკვეთი ვალდებულია:

3. 1. 1 უზრუნველყოს შესრულებელი სამონტაჟო სივრცის მზადყოფნით, უზრუნველყოს სამონტაჟო ბრიგადისა და ტრანსპორტისთვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, გაათავისუფლოს სამონტაჟო სივრცე სამშენებლო ნაგვისგან, უზრუნველყოს განათება და ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა.

3. 1. 2 აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული სამუშაო მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად

3. 1. 3 ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს შემსრულებლიგან სამუშაოების დასრულების შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში.

3. 1. 4 გამოიყენოს ნაკეთობა გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად - შემდგომში " ინსტრუქცია" , რომელიც შეადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. 2 შემსრულებელი ვალდებულია:

3. 2. 1 დაამზადოს ნაკეთობა მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. 2. 2 შეატყობინოს დამკვეთს სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შესახებ.

3. 2. 3 დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებულ დღეს, დაზუსტების და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დანართი 1 და დანართი 2-ის დაკორექტირების მიზნით(თუ შემსრულებლის აზრით, ეს აუცილებელია) განახორციელოს იმ ფართის საკონტროლო აზომვა, სადაც უნდა განხორციელდეს სამონტაჟო სამუშაოები.

3. 2. 4 განახორციელოს შემსრულებლის მიერ დამზადებული ნაკეთობის მონტაჟი და გადასცეს დამკვეთს დასრულებული ნაკეთობა. სამონტაჟო სამუშაოები შესრულდება შემდეგ მისამართზე:

_____

_____